



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

ცირკულარული ეკონომიკა პრაქტიკაში: კონსულტაციები ზესტაფონისა და რუსთავის სამრეწველო ნარჩენების რუკირების ანგარიშის დასადასტურებლად

დღის წესრიგი

თარიღი: 2022 წლის 25 ივლისი
დრო: 13:00 – 15:30 (თბილისის დროით)
ფორმატი: ონლაინ (Zoom პლატფორმის მეშვეობით)

სარეგისტრაციო ბმული

სამუშაო ენა: ინგლისური და ქართული (სინქრონული თარგმანი)

Action implemented by:



ZOOM-ის დეტალები

სარეგისტრაციო ბმული:

<https://us02web.zoom.us/meeting/register/tZUvdOmvqTioHtbtp5ZLzEF9W3SXaNPjbEA>

დღის წესრიგი

მოდერატორი: სოფიკო ახობაძე, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის დირექტორი

დრო	საკითხი
13:00 – 13:20	<p>გახსნა და მისასალმებელი სიტყვა</p> <p>სოლომონ ჰავლიაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე</p> <p>დავით ადვაძე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მდგრადი განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი</p> <p>ალექსანდრე დარასი, ატაშე, კავშირის, ენერჯეტიკის, გარემოს და კლიმატის ცვლილების ჯგუფის ლიდერი, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში</p> <p>ნინო ლაცაბიძე, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი</p> <p>ვასილ გველესიანი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი</p> <p>ტატიანა ჩერნიავსკაია, EU4Environment პროექტის მენეჯერი, გარემოს დაცვისა და ენერჯეტიკის დირექტორატი, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)</p> <p>გიორგი აბულაშვილი, პროექტის ეროვნული კოორდინატორი, ენერგოეფექტურობის ცენტრი</p>
13:20 – 13:40	<p>ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების გამოყენება: სამრეწველო ნარჩენების რუკა, როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი</p> <p>ირაკლი ლეგაშვილი, ნარჩენების მართვის წამყვანი ექსპერტი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი</p>

<p>13:40 – 14:00</p>	<p>ცირკულარული ეკონომიკისა და სამრეწველო ნარჩენების მართვის, როგორც წარმატებული მწვანე სტრატეგიის ულემენტების ჩამოყალიბება საქართველოში.</p> <p>სამრეწველო ნარჩენების რუკირების ანგარიში ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებისთვის: ძირითადი მიგნებები</p> <p>ალი ქარუთი UNIDO, საერთაშორისო ცირკულარული ეკონომიკის ექსპერტი (SWECO International AB)</p>
<p>14:00 – 14:30</p>	<p>დისკუსია (ჯგუფებში)</p> <p>მოდერატორები: ირაკლი ლეგაშვილი და ალი ქარუთი</p> <p>უკუკავშირი ნარჩენების რუკირების პროცესზე, მის გამოყენებასა და მიღწეულ შედეგებზე. გაკვეთილები და მიღებული შედეგების გამოყენებისა და რეკომენდაციების განხორციელების კონკრეტული გზები ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში.</p>
<p>14:30-14:50</p>	<p>სამრეწველო ნარჩენების რუკირება საქართველოში: წინსვლის გზა</p> <p>ალი ქარუთი</p> <p>ქვეყნის სხვა რეგიონებში IWM-ის დანერგვის შესაძლო შემდგომი ნაბიჯების შესახებ რეკომენდაციების პრეზენტაცია. რეგიონალური IWM სახელმძღვანელოს პროექტის გაცნობა.</p>
<p>14:50-15:20</p>	<p>დისკუსია და უკუკავშირი (ჯგუფებში)</p> <p>მოდერატორები: ირაკლი ლეგაშვილი და ალი ქარუთი</p> <p>უკუკავშირი საქართველოს სხვა რეგიონებში IWM სავარჯიშოების რეპლიკაციის შესახებ: საკითხები და წინაპირობები, საჭირო მხარდაჭერა და ბარიერები (ინსტიტუციური, საკანონმდებლო, ფინანსური და ა.შ.). რეფლექსია IWM-ის სახელმძღვანელოზე და მის გამოყენებადობაზე ქვეყნისა და რეგიონის დონეზე.</p>
<p>15:20 – 15:30</p>	<p>შეხვედრის დახურვა და შეჯამება</p> <p>გიორგი აბულაშვილი, ეროვნული კოორდინატორი, UNIDO (EEC Georgia)</p>

ცირკულარული ეკონომიკა პრაქტიკაში: კონსულტაციები ზესტაფონისა და რუსთავის სამრეწველო ნარჩენების რუკირების ანგარიშის დასადასტურებლად

25 ივლისი, 13:00 – 15:30, ზუმ შეხვედრა

ღონისძიების მიზნები და მოსალოდნელი შედეგნი

ეს ღონისძიება ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიზნებზე:

- ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების საწარმოების წარმომადგენლებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი პრინციპებისა და უპირატესობების წარდგენა
- ნარჩენების რუკირების სავარჯიშოების შედეგების განხილვა, ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან - ზესტაფონისა და რუსთავისგან უკუკავშირის მიღების მიზნით. დისკუსია ნაწილობრივ ფოკუსირებული იქნება სავარჯიშოების შედეგებზე, ნაწილობრივ კი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს პროცესის ოპტიმიზაცია სხვა რეგიონებისა და ქვეყნების სასარგებლოდ, რომელთაც სურთ განახორციელონ ნარჩენების რუკების შედგენა
- ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების საწარმოებისთვის ცირკულარული ეკონომიკისა და სამრეწველო ნარჩენების რუკების შემუშავების უპირატესობებისა და შესაძლებლობების განხილვა

ამ კონსულტაციის შედეგები მოიცავს დადასტურებულ IWM ანგარიშს ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებისთვის (წინადადებებით, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს რეკომენდაციები იქ მდებარე ბიზნესებისთვის CE პრაქტიკის დანერგვის მიზნით). იგი ასევე გასცემს რეკომენდაციებს IWM მეთოდოლოგიის დანერგვის შესახებ საქართველოს სხვა რეგიონებში და სხვა აღმოსავლეთ პარტნიორ (EaP) ქვეყნებში. გამომხაურების შესაგროვებლად ასევე წარმოდგენილი იქნება გზამკვლევის პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში IWM განხორციელების შესახებ.

მონაწილეები

ვალდაცის შეხვედრის მონაწილეთა სია შედგება ზესტაფონისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების, ორ რეგიონში მდებარე სამრეწველო საწარმოების, ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლებისა და სააგენტოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტებისგან საქართველოდან, ასევე UNIDO-სა და SWECO-ს წარმომადგენლებისგან.

ამ ღონისძიების ორგანიზატორები არიან UNIDO, REC Caucasus და SWECO.

პრაქტიკული ინფორმაცია

ღონისძიება გაიმართება 2022 წლის 25 ივლისს, 13:00 - 15:30 (თბილისის დროით, GMT +4). ღონისძიება ჩატარდება ონლაინ, Zoom პლატფორმის გამოყენებით. ის მოიცავს პრეზენტაციებსა და დისკუსიას მონაწილეთა შორის. ღონისძიება გაიმართება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე და უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი.

ზოგადი ინფორმაცია

ლონისძიება: ცირკულარული ეკონომიკა პრაქტიკაში: კონსულტაციები ზესტაფონისა და რუსთავის სამრეწველო ნარჩენების რუკების შედგენის ანგარიშის დასადასტურებლად, იმართება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ქმედება „EU4Environment“ კომპონენტის „ცირკულარული ეკონომიკა და ახალი ზრდის შესაძლებლობები“ ფარგლებში. მისი მიზანია ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი პრინციპებისა და პრაქტიკების წარმოჩენა და ზესტაფონისა და რუსთავის საწარმოების წარმომადგენლებისთვის მათი დანერგვის გზების განხილვის შესაძლებლობის შექმნა.

ნარჩენების მართვა მოიცავს აქტივობებსა და ქმედებებს, რომლებიც ხორციელდება ნარჩენების წარმოქმნიდან მათ საბოლოო განთავსებამდე. ეს მოიცავს ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, დამუშავებას და განკარგვას, ნარჩენების მართვის პროცესის მონიტორინგსა და რეგულირებას და ნარჩენებთან დაკავშირებულ კანონებს, ტექნოლოგიებს და ეკონომიკურ მექანიზმებს. ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა ქმნის ბიზნესის გაზრდილ ღირებულებას, რაც ხელს უწყობს სამრეწველო ინდუსტრიის მდგრადობას და წარმოქმნის მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობას.

ნარჩენების რუკების საერთო მიზანია საწარმოების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ნაკადების იდენტიფიცირება, შეფასება და რუკირება, რათა გამოკვეთოს ეკონომიკაში რესურსების ეფექტურობისა და მასალებისა და ქვეპროდუქტების ცირკულარობის გაუმჯობესების შესაძლო გზები.

საქართველოში, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) UNIDO-ს მხარს უჭერს მესამე აქტივობის განხორციელებაში, კერძოდ EU4Environment კომპონენტის „ცირკულარული ეკონომიკა და ახალი ზრდის შესაძლებლობები“. UNIDO-ს საერთაშორისო პარტნიორის, SWECO-ს ხელმძღვანელობით IWM სავარჯიშო განხორციელდა საქართველოს ორ მუნიციპალიტეტში, 2021 წლის მარტიდან 2022 წლის ივლისამდე. შეფასებული მონაცემები უზრუნველყოფს პლატფორმას რეგიონებში გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რათა ჩაერთონ დაგეგმვის პროცესში და განახორციელონ მიღებული რეკომენდაციები. აღნიშნული ანგარიში ასევე მოგვცემს საშუალებას საქართველოს სხვა რეგიონებში IWM მეთოდოლოგიის პოპულარიზაციისა და გამოყენებისთვის. ამ ღონისძიებაზე ასევე იქნება წარმოდგენილი და განხილული რეგიონალური გზამკვლევის პროექტი, რომელიც აღწერს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში IWM-ის დანერგვის ნაბიჯებს.

EU4Environment-ის შესახებ

„ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) მიზნად ისახავს დაეხმაროს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შეინარჩუნონ ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა გარემოსდაცვითი ქმედებების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებითა და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების მართვის უკეთესი მექანიზმების ჩამოყალიბებით.

ქმედება ფინანსდება ევროკავშირის მიერ და 2019-2023 წლებში მიმდინარეობს. იგი ხორციელდება ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის მიერ: OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკი, მისი ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონი ევროს შეადგენს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: www.eu4environment.org და www.recp.ge